



საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 99

ბათუმი

30 დეკემბერი 2021 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში დამხმარე ფუნქციების მქონე შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტების, 83-84 მუხლების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-15 მუხლის, „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ე“ და „ნ“ ქვეპუნქტებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N89 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში დამხმარე ფუნქციების მქონე შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციების ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები, თანახმად დანართისა.

2. ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის 2020 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N12 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში დამხმარე ფუნქციების მქონე შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“.

3. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილეს დავით დუმბაძეს. ბრძანების გაცნობა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ კანონით დადგენილი წესით.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილეს დავით დუმბაძეს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით - ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან (ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქუჩა N37) და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

6. ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 01 იანვრიდან.

ზურაბ ჭურკვეიძე



უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი
 ზურაბ ჭურკვიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში დამხმარე ფუნქციების მქონე შრომითი ხელშეკრულებით დასაქავებული პოზიციების ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

(ლარი)

№	სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება	დაკავებული პოზიცია	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოთვეში ერთ ერთულზე	სულ თანამდებობრივი სარგო წელიწადში
1	2	3	4	5	6
1	უმაღლესი საბჭოს აპარატი მანდატურის სამსახური	უფროსი მანდატური	1	1760	21120
		მანდატური	1	1400	16800
2	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის დეპარტამენტი	დამხმარე მოსამსახურე (ფოტოგრაფი)	1	800	9600
		დამხმარე მოსამსახურე	1	1370	16440
	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის აპარატი	დამხმარე მოსამსახურე	1	1700	20400
3	საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საორგანიზაციო განყოფილება	თარჯიმანი	1	300	3600
4	იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის იურიდიული განყოფილება	დამხმარე მოსამსახურე	1	1820	21840
5	ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის განყოფილება	უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მძღოლი	2	1700	40800
		მძღოლი	11	1300	171600
6	ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ლოჯისტიკის განყოფილება	ქსელის ადმინისტრატორი, IT-სპეციალისტი	1	1980	23760
		კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი	1	1100	13200
		ხელოსანი	3	1050	37800
		დამლაგებელი	6	1000	72000
		მებაღე/მეეზოვე	2	1000	24000
		გათბობა-გაგრილების სპეციალისტი	1	625	7500
		დამხმარე მოსამსახურე	1	1600	19200
	უმაღლესი საბჭოს აპარატი	მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოების დამხმარე მოსამსახურე ღია მმართველობის პრინციპების დანერგვის საკითხებში	1	2750	33000
7	აპარატის უფროსის სამდივნო	დამხმარე მოსამსახურე	1	1980.00	23760
სულ დამხმარე ფუნქციების შრომითი ხელშეკრულებით დასაქავებული პოზიციები:			37	-	576420